**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 81 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 81

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


## რედაქციისაგან.

პირველ აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 8 მან. ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის—4 მან.

---

ხუთშაბათს, 1-ლ აპრილს, გარდაიცვალა თავადი

**იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილი,**

რასაც ქვრივი და შვილები განსვენებულისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზედ, განსვენებულის სადგომში (კიროჩნაია, № 2). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—6.—1)

---

## ჩვენ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ჩვენს ხელის-მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ რედაქციისაგან

**„საქართველოს კალენდარი“**

ალ. გუნიასი, გამოცემული წ.-კ. საზოგადოების მიერ, დაკლებულ ფასად: ტფილისს გარეშე გაგზავნით 1 მან. 30 კაპ. მაგიერ 70 კაპ., ხოლო თვით რედაქციაში — მანათის ნაცვლად—50 კაპიკად.

---

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

## „ნადეჟდა“-ს

ტფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

**11 აპრილიდან გადატანილ იქნება**

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.
შესასვლელი ეგზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.
საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.
**საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108.** (5—6.—3)

---

**კახეთის მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“**

აცხადებს, რომ იმ თვის 15-დგან ღვინო ისყიდება

**ბოთლი—20, 25 და 30 კაპ. და მეტად**

უმთავრესი საწყობი და მაღაზია: ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა; განყოფილება: მიხეილის პრ., სლივიცკის, სახლში, № 81. ღვინო ისყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

**ქ. ქუთაისში** გაიხსნა საზოგადოების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის «**კოლხიდის**» საწყობში ხსენებულ ამხანაგობის ხელმძღვანელობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება «**კახეთის**» ფირმის იარლიკებს, რადგანაც თვალის ასახვევად ძლიერ არის გავრცელებული სხვა-და-სხვა მიმსგავსებული იარლიკები. (10—6.—7).

---

**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აქვიდე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.
ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:
1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

---

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თ ა რ გ მ ა ნ ი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

---

## ქართული თეატრი

კვირას, 4 აპრილს 1904 წ.,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ

ქ-ნ ნ. ჩხეიძისა, ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და კოტე მესხის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

ისტ. დრამა. 5 მოქ. 7 სურათად, დავით ერისთავისა.

**მონაწილეობას იღებენ** ქ-ნი: ნ. ჩხეიძე, ნებიერიძისა, დავითაშვილი; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესიშვილი, კოტე მესხი, ივანიძე, იმედაშვილი, საფაროვი, სარჯველაძე, ბაქრაძე, იორდანაშვილი, მატარაძე, გვარაძე და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი**

---

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს“

## საზაფხულო ბაღში

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა

## სეირნობა

**საქველ-მოქმედო ბაზრითურთ**

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა დ ცოცხალი სურათები. დასასრულ

## ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—4)

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ა. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. მ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**მ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიძოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშეილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

---

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».
ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

## ომის ამბები

ჩინეთის მზადება.—წვრილი ამბები.—იაპონური ანდაზები.

ჩინეთი საჩქაროდ იარაღს ისხამს და თავის ჯარს მანჯურიის საზღვრებს უახლოვებს. ყველა გამოჩენილი გენერლები უკვე გაისტუმრეს დანიშნულებისამებრ რკინის გზით, ხოლო ჩრდილოეთ-ჩინეთის მთავარ-სარდალი ხმელეთიით წასულა მანჯურიისაკენ ძველის გუ-ბეი-კოუს გზით, დიდ გალავნის გასწვრივ. რას უნდა ნიშნავდეს, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოს მთავარ-სარდალი ჩუმად იპარება თავის ჯარისაკენ და სწორე გზას უხვევს? მანჯურიაში ხუნხუზებს როგორღაც ფრთები შეესხათ და რუსების წინააღმდეგ მოქმედობენ.

ნამდვილად მტკიცდება აგრეთვე, რომ ჩინეთი მონგოლიისკენაც ჰგზავნის თავის ჯარს. კალგანში მცხოვრები რუსები ძალიან შიშობენ, ერთბაშად არა აგვიტეხონ-რა ჩინელებმაო.

პეკინშიაც ამბოხების ხმები თან-და-თან ვრცელდება და ევროპიელებს აღელვებს. გერმანიის სადარაჯო რაზმი ყოველ შემთხვევისათვის მომზადებულია.

ინგლის-იაპონიის ჟურნალ-გაზეთები წინანდებურად მასხარად იღებს რუსეთს და ათასნაირ ცილის-წამებას იგონებს; იაპონელებს-კი აქებს და აქეზებს.

ინგლისელები და იაპონელები თანაგრძნობას უცხადებენ იაპონელებს, როგორც ცივილიზატორებს შორეულ-აღმოსავლეთში. გერმანელები-კი არავითარ თანაგრძნობას არ უცხადებენ არც რუსებსა და არც იაპონელებს. ისინი მტკიცედ ადგანან თავის საქმეს შორეულ-აღმოსავლეთში და დარწმუნებულნი არიან, რომელ მხარესაც უნდა გაუღიმოს ბედმა, ისინი მაინც ისარგებლებენ, რადგან ორთავე მხარე შესუსტდება და გაღატაკდება. ფრანგები-კი გულითა სწუხან, რომ რუსეთს გაჭირვება დაატყდა, იმედოვნებენ, რომ რუსეთი გამარჯვებული გამოვა. («რ. ვ.»).

—

შანჰაიდგან იტყობინებიან, მართლდება ის ხმები, რომ ევროპიელების წინააღმდეგ ჩინელები აჯანყებას აპირებენო. ნამდვილად ემჩნევა, რომ სიჩუანისა და შანდუნის პროვინციებში ხალხი ასაჯანყებლად ემზადება. ქალაქ შუნ-ძინში მთავრობის ჯარსა და ხალხს შეტაკება ჰქონდა და ჯარმა უკან დაიწია; რამდენიმე ჯარის-კაცი მოკლულია.

პეკინიდგან იწერებიან, შანჰაის გაზეთების ცნობებით, რომ ჩინეთის ოფიციალური წარმომადგენელნი გაგზავნილ არიან იაპონიაში ხელშეკრულობის შესამუშავებლად, ხოლო გაგზავნილ მოხელეებს ჯერ არ ასახელებენ. პეკინში კი ამ მოლაპარაკებისა და მოხელეების გაგზავნის შესახებ არა იციან-რა.

ეხლახან შანჰაიში იაპონელთა სკოლის პატივსაცემლად დღესასწაულობა გამართეს. იაპონიის მომხრეებმა, ფინიატურმა და ვენ-შუიუნმა, ჩინეთის ტოტაიმ და სავაჭრო ხელშეკრულობის შესამუშავებლად დანიშნულმა კომისარმა, სხვათა შორის, წარმოსთქვეს, რომ ჩინეთი იაპონიის მაგალითით უნდა ხელმძღვანელობდეს და იმის დახმარებით მოქმედებდესო.

შანჰაიში ბრინჯი ძალიან გაიაფდა, ცერცვის ზეთი-კი გაძვირდა, რადგან ნიუჩჟუანიდგან აღარ მოაქვთ. იაპონიაშიაც ბრინჯის ფასი თანდათან კლებულობს, რადგან მოელიან, რომ მაისში დიდძალ ბრინჯს მოზიდავენ სხვა-და-სხვა ქვეყნებიდგანო.

კორეის იმპერატორმა იტალიის მეფეს ვიქტორ ემანუილს პირველ ხარისხის ორდენი გაუგზავნა.

ბერლინში ცნობები მიუღიათ სეულიდგან, რომ მდინარე იალუს შესართავში იაპონიის ნავ-გემები დადიანო.

ბერლინის გაზეთებს ატყობინებენ ნიუჩჟუანიდგან, რომ იქ რუსებს 5,000 ჯარის კაცი ჰყავთ და სამი ბატარეა უყენიათ; მალე 10,000 კაცი კიდევ მოვაო და, და ამათ გარდა, 14,000 კაცი მზად არის და, თუ საჭიროება მოითხოვს, სწრაფად გაჩნდება ნიუ-ჩჟუანში, რომელიც კარგად არის გამაგრებულიო.

იაპონური გაზეთი «კოკუმინი» ამბობს, იაპონიამ თავისი განზრახვა უიარაღოდ

განახორციელა და ჩრდილოეთ კორეაში რუსები სრულიად აღარ არიანო; ეხლა სწორედ შესაფერი დროა, რომ მთავრობამ სამხედრო ფონდი სხვაფრივ მოიხმაროს და ზავი ჩამოაგდოსო.

ყველა გაზეთებს უკვირთ, რუსები რად იმედოვნებენ, რომ ბალტიის ესკადრას ომის ველზე მოიყვანენ: რომ გამოგზავნონ კიდეც, ვიდრე მოვიდოდეს, პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის ესკადრები ხომ იაპონელებს ჩაუვარდებათ ხელში და რუსეთის გემებით გაძლიერებული იაპონიის ფლოტი, ბალტიის ესკადრას წინ მიეგებებაო. (ნოვ. ვრემ.).

ხარბინიდგან «მოსკოვ. ვედ.» კორესპონდენტი იწერება, თუმცა აქედგან მოხელეებმა თავის ჯალაბობა გაისტუმრეს და ისეც მრავალი მცხოვრებთაგანი გადასახლდა, მაინც სადგომის შოვნა არ არისო. ყოველ ოთხში რამდენიმე კაცი იკუნტება და ბევრი თავშესაფარს ვერა შოულობსო.

ვინც რუსეთიდგან მოდის, ვურჩევთ თბილი ტანისამოსი და ფეხსაცმელი იქიდგანვე წამოიღოს, თორემ არც აქა და არც გზაზე, ირკუტსკშიაც-კი, გამოსადეგს ვერას იშოვის. ხარბინში ხომ ჭურჭელიც აღარ არის გასასყიდი, არ საწოლები და სხვა საჭირო ნივთები.

წითელის ჯვრის განყოფილება აპირებს ნოვო-გოროდში სასადილო დააარსოს, რომ აქეთ მომავალ ჯარის კაცებს ცხელი საჭმელი აძლიოს. სახლი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზამ დაუთმო. ახლა ადგილობრივ მცხოვრებლებს სთხოვენ და ავალებენ, სანოვაგის შოვნა-ყიდვასა და შეწირულობათა შეგროვებაში დაეხმარონ.

—

## იაპონური ანდაზები.

ერის სული—წარსულშიაო,—ამბობს გაზეთ «რუსის» თანამშრომელი შებუევი.—თუ გინდა მიჰხვდე და გამოიცნო მისი ავი და კარგი მხარე, შეისწავლე მისი ისტორია, ლეგენდები, ზღაპრები, ხელოვნება. ამ მხრივ ევროპიელები სრულიად არ იცნობენ იაპონელებსო. რაში იხატება ერის ჭკუა-გონება და ზნე-ჩვეულება? უპირველესად—ანდაზებ-შაირებშიო. იაპონიამ ბევრი რამ გადაიტანა ჩინეთიდგან და ორი ათასის წლის განმავლობაში ისე მტკიცედ დაიცვა, გეგონება, გუშინდელი მოგონილია ყველა ეს გულისა და სულის გამომხატველი შაირ-ანდაზებიო. აი ნიმუშები:

თუ გემს ბევრი კაპიტანი ჰყავს, კლდეზე დაიმსხვრევაო.

მშვიდობიანად იცხოვრე, ხოლო ომიც გახსოვდეს.

მოჭარბება უქონლობას უდრის.

ღარიბდება—სულელდება.

სჯობს მამლის ნისკარტი იყო, ვიდრე ხარის კუდი.

ბაყაყსა, ჭაში მჯდომელსა, ოკეანესი არა გაეგება-რა.

ქურუმი თუ გძულს, იმისი შესამოსიც გეჯავრება.

კითხვა-წუთის სირცხვილია, არ ცოდნა-კი—სამარადისო.

თუ ვეფხის ბუნაგს მოერიდე, მისს ლეკვს ვერ დაიჭერ.

მარგებელი წამალი შეიძლება მწარეც იყოს.

ბავშვის შობა ისე ძნელი არ არის, როგორცა ჰგონიათ.

პირ-მოცინარი სესხულობ, პირ-ქუშად იხდი ვალს.

გამოცდილი კატა თავის კლანჭს თაგვებს არ დაანახვებს.

მტირალა ბავშვთანა და შენს უფროსთან გამარჯობის იმედი ნუ გაქვს.

თუ სამი გირვანქა ქატო მაინც გაბადია, ზედ-სიძედ ნუ შეხვალ.

ცხელი საჭმელი რომ ყელს ჩასცილდება, მისი სიმწვავე დავიწყებას ეძლევა.

მაიმუნიც ვარდება ხიდგან.

ფულის შესახებ ყველა უცხოა.

თუ მეცნიერს მეცნიერული სუნი სდის, მეცნიერი არა ყოფილა.

დიაცის გულის მზომელი ფულია.

კედელსაცა აქვს ყური და ქვას—ენა.

ძვირფასი ქვა, თუ თლილი არ არის, არა ციმციმებს.

თუ თავს არ მოიხრი, მაღლაც ვერ აიწევ.

ჭურჭელი რომ აივსება, მერე თავს გადაუვა.

ხელი მისწვდება, სადაც გეფხანება.

ბუჩქს ქვას ნუ ესვრი, გველი არ გამოხტეს.

ადამიანის ცხოვრება—შორი გზაა, მძიმე ტვირთვით ჩქარა ვერ ივლი.

თუ სიღარიბე არაფრად მიგაჩნია, დანაკლისს ვერ იგრძნობ.

თუ სანებივრო რამ მოგინდა, მოიგონე, რომ წინად უფრო ღარიბი იყავი.

მოთმინება—საძირკველია ხანგრძლივის ბედნიერებასა.

შენი სიბრაზე მტრად მიიჩნიე.

თუ რომ გამარჯვებასა ხარ მიჩვეული, ელოდე დამარცხებასაც.

შენს თავს განკიცხვას ნუ მოაკლებ, სხვებს-კი სულგრძლად ეკიდებოდე...

აი სიმბოლო იაპონელების სარწმუნოებისა, სიმბოლო არსებისა, მისის სულისა და ჭკუა-გონების გამომხატველი.

—

## ტფილისი

*** დღეს, 4 აპრილს, ქართულს თეატრში ქართველ მსახიობთა მიერ ქ-ნ ნ. ჩხეიძისა და ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნება „სამშობლო“. დასაწყისი 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

*** კარგა ხანია, რაც მცხოვრებთ ტფილისის გუბერნატორს გადასცეს თავიანთი თხოვნა, რაც მცხოვრებნი სთხოვენ, გვიშუამდგომლეთ ტფილისის ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ უზრუნველ გვყოს ქალაქის გამგეობამ წყალ დიდობის დროსაო. ტფილისის გუბერნატორმა განიხილა ეს თხოვნა და გადასცა ქალაქის გამგეობას. როგორც გადმოგვცეს, ქალაქის გამგეობა იმ კვირაში განიხილავს ამ თხოვნას. მცხოვრებნი თანახმა არიან, თვითონაც მონაწილეობა მიიღონ მტკვრის ნაპირის გასამაგრებლად საჭირო ხარჯის გაღებაში.

*** ზოგიერთნი უკმაყოფილებას აცხადებენ იმის გამო, რომ დეპეშები ღამით მისდით. ამიტომ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ვისაც უნდა დეპეშები ღამით არ მიუვიდეს, ცალკე განცხადება უნდა შეიტანოს კანტორაში.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: «რამდენიმე წელიწადია გარდაიცვალა ტფილისში დაღესტნის გუბერნატორად ნამყოფი თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძე. გაზეთებმა გამოაცხადეს, ანდერძით განსვენებულმა ხუთასი თუმანი დასტოვა ყვარელის გლეხების შვილების აღსაზრდელადაო. ამ ფულით სტიპენდიები უნდა დაენიშნოთო. აგერ რამდენიმე წელიწადი გადის და აღარაფერი ისმის იმის შესახებ, ან სად ინახება ის ფული, ან ვინა სარგებლობს. არ ვიციო ისიც, თუ სად ვკითხოთ, ვის მივმართოთ. კარგი იქნება გაზეთისავე, საშუალებით გვაცნობოს ვინმემ საქმის გარემოება».

*** ხვალ, 4 აპრილს, შულავერში მიემგზავრება ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველი განყოფილების სესია. სესსია 18 აპრილამდე დარჩება შულავერში. განსახილველად 18 საქმე აქვს.

*** 10 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, გორში დანიშნულია საზოგადო კრება იმ ახლად შემდგარ კომიტეტისა, რომელმაც შემწეობა უნდა აღმოუჩინოს შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართა და დაობლებულ ოჯახობას.

*** რადგან ტფილისში მტკვარმა ძალიან მოიმატა და ნაპირებზე ერთობ ძნელია ნავების გაჩერება, ამიტომ პოლიცია თვალ-ყურს ადევნებს, რომ ცუდს ალაგას არ დააბან ნავები. რამდენიმე ნავი, როგორც ვიცით უკვე მოიტაცა წყალმა.

*** ტფილისის მეპურეებს განუზრახავთ შუამდგომლობა აღძრან იმის შესახებ, რომ პურის ნიხრი ცოტად ასწიონ. ამას წინად მათ მიერ აღძრული შუამდგომლობა არ იქმნა დაკმაყოფილებული.

*** როგორც ვუწყით, ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამას წინად გადასწყვიტა, შიოევის ქალის მიერ დატოვებულ ფულით სახელოსნო სასწავლებელი დააარსოს. ეს საგანი ახლა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას აქვს განსახილველად.

*** ქალაქის გამგეობამ გუშინ წინ მოულოდნელად რევიზია უყო ქალაქის კასას და ყველაფერი წესიერად ჰპოვა.

*** ამას წინად ტფილისის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, ქალაქის ლომბარდის კასირის თანამდებობა გააუქმოს. ქალაქის გამგეობას განუზრახავს, შუამდგომლობა აღძრას საბჭოს წინაშე, რომ ეს თანამდებობა არ იქმნას გაუქმებული.

*** დღეს დიდუბის მოედანზე დანიშნულია დოღი.

*** დღეს, 4 აპრილს, ამბულატორიის დაარსების, დღეს ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში გარდახდილ იქმნება პარაკლისი.

*** მეათე საპოლიციო უბნის ბოქაული სთხოვს პოლიცმეისტერს, შუამდგომლობა აღძრას, რომ გააკეთონ ის ქუჩა, რომელიც მუშტაიდში გადის. ქუჩა გაზაფხულის წვიმებმა გააფუჭა.

*** უმაღლეს მთავრობის წინაშე აღძრული ჰქონდათ შუამდგომლობა ზოგიერთებს—, ნება მოგვეცით, ხელის მოწერა გავმართოთ ეკკლესიების ასაგებადაო. რადგან ფული ომიანობისათვის არის საჭირო, ამიტომ მთავრობამ ბევრს მათგანს უარი განუცხადა.

*** როგორც გვატყობინებენ, ბევრი წასულა ციმბირსა და მანჯურიაში საქართველოდან, ნამეტნავად იმერეთიდგანა და გურია-სამეგრელოდან. აქედგან წასულო ბუფეტები გაუმართავთ და ძალიან დიდი ვაჭრობა ჰქონიათ.

*** დუშეთის მაზრის მცხოვრებმა, განსვენებულმა აზნაურიშვილმა სოლომონ ზაქარიას ძე ზანდუკელმა, უანდერძა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას საკუთრებად ქვითკირის ერთ-სართულიანი სახლი ეზოთი ქ. დუშეთში. განსვენებულის მაგალითი საქებარი და წასაბაძია, მხოლოდ სასურველია, კვლავ ნამდვილად დასახელებული იყოს ვინაობა, ვისთვისაც ანდერძით რისამე ჩუქება სწადიან, მაგალითად ამ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო ნახსენები: «ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას», რომლის გამგეობაშიაც არის ტფილისის სათავად-აზნ. სკოლა.

—

## ჩვენებური ამბები

**სოფ. ბრეთი.** (გორის მაზრა). ამას წინად ბრეთში ერთს დღეს სამი მიცვალებული მიაბარეს მიწას. ასეთის პატარა სოფლისათვის, სადაც ითვლება მხოლოდ 80 კომლი, ერთს დღეს სამი მიცვალებული დიდ უბედურებად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ სამთავენი იყვნენ მსხვერპლნი სიღარიბისა და სიღატაკისა. ერთი მათგანი, თუმცა შუა ხანშა შესული, უდროოდ მოკვდა, ნოტიოში ცხოვრებით დაავადმყოფებული. მეორე—ემაწვილი ვაჟკაცი, უდროოდ გამოესალმა წუთის სოფელს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ხელის სურაში პაწია ლურსმანი შესობოდა; დაუსივდა თითი, სიმსივნე გადავიდა მთელს მკლავში, გაუჩნდა ტანშიაც და გაჰქრა კაცი. მესამე მიცვალებული... ამ საცოდაობამ ატირა დიდი თუ პატარა; სამის წლის ბავშვი ხიდიდგან გადავარდნილიყო შუა სოფელს მომდინარე წყალში და დამხრჩვალიყო. წყალი თუმცა პატარაა, მაგრამ ამიტომ ბავშვმა წყალში ჩავარდნის დროს უცბად დაჰკარგა გონება, ფეხზედ ველარ წამოდგა და დაიღრჩო; დამხრჩვალი შეუნიშნა ერთს მგზავრს წისქვილის სახუთქელასთან. ბავშვი წყლიდგან რომ ამოიყვანეს, გალურჯებული ჰქონდა ლოყები და ტუჩები, რომელიც აგრეთვე დრო გამოშვებით უფითრდებოდა: ყელშიაც ემჩნეოდა ძარღვის ცემა; ერთის სიტყვით, ჰქონდა აშკარა ნიშნები სიცოცხლისა, მაგრამ ჩვენებურის უვიცურის ბევრის ცდით დამხრჩვალი ვერ მობრუნდა და შეუძლებლობითაც ვერ მოიყვანეს ექიმი, რომლისთვისაც მისი მობრუნება ადვილი იქმნებოდა: ბავშვი ოცის წუთის მეტი არ იქმნებოდა წყალში. სულ სამი მანათი იყო საჭირო, რომ ბავშვი ცოცხალი დარჩენილიყო; სულ სამი მანეთი იყო საჭირო, რომ მკურნალის ენახა დასხმეული თითი ემაწვილის კაცისა და ოჯახიც უპატრონოდ არ დარჩენილიყო.

ამ ჟამად ბრეთში ორი ანთებით ავადმყოფია; ორივ სასიკვდილოდ განწირული მელოგინეა, რომელთაც მშობიარობა უვიცმა ბე-

—

## ფელეტონი

### შ უ რ დ უ ლ ი

(საკვირაო გაზეთი)

წელიწადი მეორე

№ 13

### ი ე ს ო

...იდგა თავ-დახრით, ვით დამნაშავე,
ვით ხალხთ მშვიდობის დამრღვევ-მპარავი
და მის ღვთიურ თვალთ წინ აღმართოდა
წამების ჯვარი, გულ-შემზარავი.

გვერდს მოსდგომოდა უგუნურთ გროვა,
არსაით უჩნდა ტოლ-მეგობარი,
ტკბილ ხმათ მაგივრად ყურს მოესმოდა
გესლით აღსავსე სიცილ-ხარხარი.

....აღსრულდა... მორჩა... აწამეს უგუნურთ
ცით მოგზავნილი ხალხთ წინამძღვარი,
ბოროტმა ძალამ ადრე ჩააქრო
ტანჯულთ მნათობი—დიდი ლამპარი.

შეჰკრთა ბუნება... განრისხდა... გაწყრა..
ცამ სინანულის ცრემლი დაჰღვარა
და ხემ მაღალმაც, შეძრწუნებულმა,
დაბლა მიწამდე ტოტნი დახარა..
განიპო მიწა... იძრა საფლავნი ..
გაისმა ქვათა გლოვა მწუხარე
და ფრინველმაც-კი, გზად გამომვლილმა,
გადმოაფრქვია ცრემლი მდუღარე.

ხალხი... კაცი-კი, ქვეყნის გვირგვინი,
როს ჯვარს აცვამდნენ მისსა წინამძღვარს,
თავის დუმილით ტკბილს ბანს აძლევდა
ფარისეველთა სიცილს და ხარხარს.

 რ. სურამელი.

### ქრისტე აღსდგა!

(ვუძღვნი შურდულს და მისს რედაქტორს).

«ქრისტე აღსდგა!» მეგობრებო,
გიხაროდეთ, მომილოცავს!
მოიშორა მძიმე ტვირთი
მჩაგვრელიდგან, ჩაგრულს იცავს.
მისს კანონში ერთობაა,
საამქვეყნოდ დადებული,
ყველა ჰხარობს, ყველა ჰგალობს,
მშიერი და დიდებული.
ასე გვითხრა: «მე აღვსდეგი,
აღვადგინე ქვეყნად ძმობა,
ძირს ჯაშუში, ძირს ორგული,
ძირს იუდა და ძირს მტრობა»!
გაუმარჯოს, ვინც გვიწამებს,
სხვებს გადასცემს მაგალითად;
ძმობა აღსდგა... გაიგონეთ!...
პასუხს ველი.. «ჭეშმარიტად»!...

„სკვინჩა.“

—

### მარტო ოდენ შთაბეჭდილებანი

(ქუთაისში)

— ოო... ჰო, შე...

ისე გემრიელად შეუქო მეურმემ თავისს კამეჩებს პატრონი, როგორც მარტო ქართლელმა იცის. თვალ-წინ წარმომიდგა ჩვენი სოფელი, ჩვენი პატივით მყრალი, მიყუჩებული სოფელი და სიხარულმა გამომაღვიძა. გადავიხედე: იქვე ლიანდაგთან შუა მორევში ურემი შემოეტანათ, ზედ ოთხი კაცი იდგა და ტანთ იხდიდა; გაიხადეს, ტანისამოსი კოფოზედ მიაკრეს, პირჯვარი გადაიწერეს და მორევში შესცურდნენ...

ვაგონებიდგან გადმოტვირთული ბოძები თურმე იყო იქ და იმას ეძებდნენ.

გამიკვირდა, ავღშფოთდი:

— ამოდენა ფულს იღებს რკინის გზა, ათი-თორმეტი მილიონი მანეთი რჩება წელიწადში წმინდა მოგება და რა იქნება, აქ მაინც დაავოს ქვა, სადაც თავისსავე მოზიდულს საქონელს აღაგებს-მეთქი!

ფაიტონები აღარ იყო.

სტანციიდგან ქალაქისაკენ მიმავალ ქუჩაზედ იმისთანა ზღვანი დიოდნენ ლაფისა, რომ ერთის მხრიდგან მეორეზედ გადასვლა შეუძლებელი იყო.

— რას გაჩერებულხართ, ბატონო!—შემომძახა ერთმა მედუქნემ.—გაღმა გასვლა გნებავთ? ადვილი სამსახურია. ა, ბატონო:

— სადაა, ბოშო, ფონი?—გასძახა ვილამაც.

— აქანა, ბატონო, აქანა!—გამოსძახა მკვირცხლმა იმერელმა და მსწრაფლ ჩვენთან გაჩნდა.

— თბილის ქალაქიდგან ბრძანდებით?—მეკითხებოდა მედუქნე: თქვენ გგონიათ, რომ იქანა, ქუთაისს, არც კაცები არიან და არც განათლებულად ცხოვრობენო, ჰა? მიჰყეთ, ბატონო, მაგრე და მეფონეს ყველგან ნახავთ. თქვენ რომ დვორნიკები გყავთ, ჩვენ ფონნიკები გვყავს.

მეც მივყე და მეფონეც ყველგან ვნახე.

მითხრეს, ლაფის ქუჩა, სტანციიდგან ბულვარისაკენ მიმავალი, საუკეთესო არის მთელს ქუთაისშიო, და ვეცადე, კარგად გამესინჯა. ხან გაღმა ვიყავ, ხან გამოღმა და სადაა, ბოშო, ფონი?—ვიძახდი წამ და უწუმ—რა მექნა ცოცხალი ვეღარ გამოვიდოდი, უფონოდ რომ შევსულიყავ! წარმოიდგინეთ, რომ ცურვაც არ ვიცი! მერე რა? დაიღრჩოს კაცი და ისიც ლაფში?!. ღმერთმა დაიხსნას ყოველი ქრისტიანი, მეტადრე თუ სამარხი ფულიც არა აქვს მომზადებული: რამდენს შეუკურთხებენ სწორ-მეგობრები!

ნებითა ღვთისათა და მზრუნველობითა ქალაქ ქუთაისის გამგეობისა-მიერ დაყენებულ ფონნიკებისათა, არა თუ ცოცხალი გადავრჩი, ლაფის ქუჩაც კარგად დავათვალიერე, თუმცა საიმისო ვერა ვნახე-რა.

უპირველეს ყოვლისა, ჩემი ყურადღება მიიზიდა ერთმა პატარა სახლმა, რომელსაც ფანჯრებზე უზარ-მაზარის ასოებით აწერია ცალკე რუსულად და ცალკე ქართულად—«ოთახი კალისტრატე მაჭავარიანისა». ვინ არის ბ. მაჭავარიანი, რა მოხელეა, ან რად უნდა იცოდეს ყველა გამვლელმა, რომ ეს არის «ოთახი კალისტრატე მაჭავარიანისა», წარწერიდგან არა სჩანს; მაგრამ ეტყობა, ბ. კალისტრატეს ძალიან სურს ქვეყანას შეატყობინოს თავისი არსებობა, და თუ-კი გოგოლის გმირები ჯერაც ამშვენებენ ქუთაისს, რატომ ჩვენ-კი არ დავეხმაროთ! ჰო და, ნუ დამზარდები, მკითხველო, და ყველას აცნობე—შენს სწორსა და ტოლს, ნაცნობს, მეგობარს, მტერს და მოყვარეს, დიდს და პატარას, ჰკვიანს და რეგვენს, რომ ქ. ქუთაისში, ლაფის ქუჩაზედ, არის «ოთახი კალისტრატე მაჭავარიანისა».

იქვე, ბ. კ. მაჭავარიანის ოთახის ახლო, მიხაილოვის კანტორა გახლავთ, იმ მიხაილოვისა, რომელსაც ბ.ბ. ზდანოვიჩმა, დიასამიძემ, ჭრელაშვილმა და სხვებმა ფული მოუგროვეს ქართველთა შორის... სანდო კაცი არის, მცოდნე კაცი არის და რიონის წყალს ფულად გვიქცევსო!

მიხაილოვმა მოგროვილი ფული წყლად აქცია და... და... განქარდა!

ძაან კაცი ყოფილა, ღვთის წინაშე: წავიდე, გავშორდე! რომ ველარ დამინახავენ, უფრო ადვილად დაივიწყებენ დაკარგულ ფულსაც და გაცრუებულ ნდობასაცაო!.. ვაი ჩვენი ბრალი, რომ ფულიც გამოგვცინცლა ერთმა სხვა ჯურის მიხაილოვმა და არც სადმე გაიპარა! აქვე ქალაქში დაპარპაშებს! მიხაილოვს, ერთხელაც იქნება, დაივიწყებენ მოტყუებულნი, და ჩვენ-კი ჩვენს დროში ვერ დავივიწყებთ ჩვენს შეცდომას და საზოგადო საქმის სახელით ჩვენს მოტყუებას.

ამგვარის ფიქრებით ვიყავ მოცული, როდესაც ერთი ნაცნობი შემეფეთა.

— წვიმიანი ქვეყანა სხვაგანაც ბევრი მინახავს, მაგრამ ამისთანა ლაფი-კი ჩემს დღეში არსად შემხვედრია.

— მაგი, ბატონო, მარტო წვიმისა-კი არაა.

— მაშ?

— ხელის ნაბანია, ბატონო.

— მერე პოლიცია არ გიშლით ნაბანის ქუჩაში გადმოღვრას? ან მოურავი არა ჰყავს ქალაქს?

— მოურავი ხელს იბანს.

— საბჭო?

— საბჭო ბჭობს და... თან ხელს იბანს.

— კიდევ კარგი. რომ ბჭობს მაინც.

— ბჭობს და აგრე! ყოველ საღამოს იკრიბება და პროგრამას არიგებს სამეცნიერო კომისიის მოქმედებისას, რომელმაც უნდა შეისწავლოს და გამოიკვლიოს რაოდენობა ციდგან ჩამოვარდნილ წვიმისა, სისქე და შედგენილობა ჩვენს ქუჩებში არსებულ მტვრისა და სიდიადე მათგან შექმნილ ლაფისა. კომისიამ მეცნიერულად უნდა დაასკვნას, რომ ამ ლაფში ხელის ნაბანი წვეთიც არ ურევია.

— ვაი თუ იმათაც ხელი მოიბანონ?!. მე-კი რკინის გზის გამგეობას ვამტყუნებდი, რატომ ქვას არ აგებს-მეთქი.

— გიჟები არ იქნებიან, ტყვილა დაიხარჯონ?. მოვიდნენ, გაგვიცნეს, დარწმუნდნენ, რომ ამ ლაფშიაც კარგად ვართ და... არიან თავისთვის დამშვიდებულნი; იციან, რომ არას ვითხოვთ.

— რომ ითხოვოთ?

— რომ ვეძიოთ, ვპოვებთ კიდეც! მამაგრამ ვინაა პატრონი.

intrasigeant.

—

### ტ ფ ი ლ ი ს ი.

— ძალიან ოხუნჯი ვინმე ყოფილა თფილისის სახელოსნო გამგეობა, აი «ტფილისის რემესლენი უპრავას» რომ მოგახსენებენ, სწორედ ისა. შეუთხზნია ერთი რაღაც ცირკულიარი, ზედ ქუდზედ წაუწერია: «Циркулярно. В. срочно», არც რიცხვი აზის თვისა, არც ნომერი, არც ის ჩაუწერია, თუ რომელს წარმომადგენელს ეგზავნება. მოგეხსენებათ, ამისთანა ქაღალდებში ცარიელი ადგილებია დარჩენილი, არც ეს აუვსიათ. მიუყრიათ ამისთანა ქაღალდები ხელოსნებისათვის. იმათაც თავ-გზა დაჰბნევიათ; ჯერ შეშინებულან: «საეჭვო ქაღალდი» ხომ არავინ მოგვიყარაო. მერე მეგობარ რუსულის მცოდნეებს გასტეხიან, რომელთაც დაუშოშმინებიათ, რომ ეს რაფაელოვის ოხუნჯობააო... მახლას!!.. ირჩევენ რაღა გამგეებსა!!..

—

### გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი.

გაიშალა ია-ვარდი;
შეიმოსა ტყე ტოტველი;
ჩიტი ჰგალობს ტკბილის ხმითა,
ხარობს დათვიც, მელა, მგელი.

—

ბიებმა გაუძნელეს ცხელ-ცხელის კეცებით; ორი ტყუპისმშვილიც მძიმედ არის ავად, ვინ იცის, რით. იქნება ექიმის სულ მცირე დარიგებამაც უშველოს ამ უბედურებს, მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ ხალხი მეტად გაღატაკდა, ისე დაეცა ქონებრივად, ამისთანა გაჭირვების დროს, რაც უნდა იყოს, ორ-სამ მანეთს ვერა შოულობს ექიმის მოსაყვანად.

ავადმყოფებისათვის იქნება ექიმი ისე არ იყოს საჭირო, როგორც საზრდო. მშიერს ავადმყოფს რა მოარჩენს?!.

ერთს ზემოდ მოხსენებულის მელოგინის ქმარსა ვკითხე: «ბიჭო, შენი ცოლი ავადმყოფობით ძლიერ არის დასუსტებული, მაგისთვის ნოყიერი საჭმელიც საჭიროა და რას უკეთებინებ ხოლმე?»—პურს ხან მოვუჭრი, ხან მოვუთლი, ხან მოვუტეხამ და იმას ვაჭმევო.—განა, რომ მწარე იხუნჯობაა?!. განა, რომ მოშხამული ხუმრობაა?! ეს კიდევ არაფერი; თავმოყვარეობამ ამას სიცრუე ათქმევინა: პური, რაცა ხანია, არ უცხვება, მჭადს აჭმევს ავადმყოფს. საწყალმა ბევრი იმუშავა დღეგამ პურის მოსაპოვებლად, ჯანი და ღონე არ დაზოგა, მაგრამ შარშანდელმა მოუსავლობამ მარტო ერთი და ორი არ დასტოვა ცარიელზედ. დღეს მთელ ბრეთს თუ არა, მეოთხედს მაინც აკლია პური. ამათში მხოლოდ ორმოცს კომლს მოუშართა ხელი «ბრეთის პურის მაღაზიამ». დანარჩენი ისევ საჭიროებენ. მოდი ეხლა და, ასე დაღატაკებულს ხალხს ხელი გაუშვირე საშემწეოდ, რისთვისაც და ვისთვისაც უნდა იყოს! განა მასხარად აგდება არ იქნება, როგორც თვით თავის, ისე ხალხისა? განა ხალხი არა ჰგრძნობს სკოლის, სწავლის საჭიროებას? განა ისეთ გონებით ბრმა, რომ ექიმის ყოლას საჭიროდ არა სთვლიდეს? განა მართლა ისეთია, რომ თავის საკეთილდღეოდ წელიწადში 2 ან 4 მანეთი დაიშუროს? მაგრამ ეს ორი-ოთხი მანეთი გადაუჩნა კია საწყალსა იმდენ მოთხოვნილების შემდეგ, რაც სოფლისკენ არის მიმართული?

სიღატაკე, სიღარიბე ათქმევინებს გლეხს, არ გვინდა სკოლა, არ გვინდა ექიმიო.

ასეთია დღეს ბრეთელების მდგომარეობა და მთელის ზემო ქართლისაც; გამკითხველი და შემბრალებელი თუა სადმე, ეს ღმერთმა უწყის!

მამა პიროსელი

—

**სოხუმი**. 15 მარტს იყო ქალაქის საბჭოს კრება, ახალის მოურავის ბ-ნ ტომარას თავმჯდომარეობით. ამ დღეს დიდძალი საზოგადოება შეგროვდა საბჭოს დარბაზში, რადგან ეგონათ, რომ ბ-ნი ტომარა სიტყვას ეტყოდა ხმოსნებს და გააცნობდა გეგმას თვისის მოქმედებისას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თავმჯდომარე პირდაპირ შეუდგა საქმეების გარჩევას. განსახილველი იყო მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. თუმცა ბ-ნი ტომარა ჯერ სრულებით ახალია და უმეტეს შემთხვევაში მის უკან იჯდომი წევრი გამგეობისა, ბ-ნი კორჩიგი, ეკარნახებდა, მაგრამ, როგორადაც, საქმეს ტომარას მიმართულება მაინც დაეტყო. ბ-ნი ტომარა ძალიან მოყვარული დიდის შტატისა; ჩვენს საერთიერთო ნდობის საზოგადოებაშიაც მთელი დეპარტამენტი დაარსა მოხელეთა, ასე რომ, ჯამაგირებს ძლივს ჰფარავს ბანკის შემოსავალი. საბჭოშიაც, ბ-ნ ტომარას პირველ თავმჯდომარეობისთანავე, შტატის გადიდებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

ახლა გამგეობაში მსახურებენ: მოურავი, ორი წევრი, გამგეობის მდივანი, ერთი ბუღალტერი, ერთი კასირი და ხუთი მწერალი. ამოდენა შტატი, მგონი, საკმაო უნდა იყოს ისეთის პატარა ქალაქისთვის, როგორიც სოხუმია. საკმაო-კი არა, მეტიც რომ არის, ეს იმითი მტკიცდება, რომ დღეს გამგეობის მწერლები, თავიანთ საქმესთან ერთად, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს დეპეშებსაც-კი ჰბეჭდავენ რემინგტონზე ხალხში გასასყიდად. დღეში 200—300 ეგზემპლიარს ჰყიდიან და ეს საქმე, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ომის გამო დეპეშები ძალიან გახშირებულია, აგრე ცოტა დროს არ თხოულობს. საიდან ასწრებენ ყველა ამას, თუ ასე დიდი საქმე აქვთ მწერლებს?!. აკი თვით ბ-ნმა ტომარამაც აღიარა, ქალაქს საქმეები ცოტა აქვსო და მოურავობასთან ერთად ბანკის თავმჯდომარეობასაც ასრულებს!

მართალია, გამგეობის წევრმა ბ-ნმა კორჩიგმა განაცხადა, რომ ხუთასი მანეთი მარტო საწერ ქაღალდში დაგვეხარჯაო, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ დავერწმუნებით, რომ ყველა ეს ქაღალდი საწერად გამოიყენეს. აგრეთ რომ იყოს, არ შეიძლება უფრო ცოტა სწერონ, როგორც სათონანსო კომისიის თავმჯდომარემ, ბ-მა მარკოვმა, ასიტყვამახვილა ამის გაგონებაზე. ახლა ყველგან სცდილობენ საკანცელარიო საქმე შეამცირონ და უფრო დიდი ყურადღება მიაქციონ სხვა ნაყოფიერ შრომას.

ზოგიერთ ხმოსნების მიერ დაწყებულ იქმნა ლაპარაკი, რომ დაარსებულიყო გამგეობის საქმის-მწარმოებლის თანამდებობა; თუ აქამდე არ ჰგრძნობდა გამგეობა, რომ დიდად საჭიროა საქმის მწარმოებელიო,— სთქვა მან,—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გამგეობა სრული არ იყო და დღეს-კი, როდესაც მოურავი და ერთი წევრი მივუმატეთ, საქმე გართულდება და ახლანდელი შტატი თავს ვერ გაართმევს საკანცელარიო საქმეებსაო. ჩვენ გვგონია, რომ მოურავისა და წევრის მომატებით სხვებს უფრო შეუმსუბუქდებოდა საქმე და აქ-კი გამოდის, რომ მათი მომატება სხვებს უფრო უმძიმებს.

პირველი თავმჯდომარეობა ბ-ნ ტომარასი კიდევ იმითი იყო «შესანიშნავი», რომ, თუ მისი წინ-ამოაღგილენი აღგომ-დაჯდომით სწყვეტდნენ საკითხებს, ბ-ნი ტომარა არც ამას ჰხედავს საჭიროდ. მხოლოდ იკითხავს— ხომ თანახმანი ხართო, და თუ ვინმე ხმოსანთაგანმა წამოიძახა,—თანახმა ვართ, გათავდა. ამნაირად იყო გარდაწყვეტილი ზოგიერთ ფულის საქმე-კი, რისთვისაც აუცილებლად საჭირო იყო კენჭის ყრა. [ქ]ალაქის კეთილ-მოწყობას სცდილობენ და იმავე დროს დიდს გულუხვობას იჩენენ იმისთანა ხარჯებში, რომელსაც სრულებით არ უნდა ეწეოდეს ქალაქი. მაგალითად, ჩვენ ვერ გაგვიგია, რისთვის აძლევს ქალაქი საკრებულო ტაძარს 600 მან. წელიწადში ხორის შესანახად?! საკრებულო ტაძარი აქ ერთად-ერთი ეკკლესიაა, თუ არ ვიანგარიშებთ სამხედრო ეკკლესიას, და, მაშასადამე, მთელი სოხუმი ამ ეკკლესიაში დაიარება, ხშირად სარწმუნოების განურჩევლადაც, და ამის გამო შემოსავალი ამ ტაძრისა იქმდე დიდია, რომ სრულებითაც არ საჭიროებს ქალაქის შეწევნას. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ დღეს საკრებულო ტაძარმა მშვენიერი სახლები ააგო თავის ხარჯით სამღვდელოთა სადგომებისათვის.

ხარჯთ-აღრიცხვით გადადებული იყო ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოთეკაში მსახურთა ჯამაგირებისათვის ფული; თუმცა ბიბლიოთეკის წესდება ჯერ არ დამტკიცებულა და წიგნები ისევ დაკეტილს ოთახში ჰყრია, ეს ორი წელიწადია მაგრამ ხარჯი უარ-ყოფილ იქმნა საბჭოს მიერ წესდების დამტკიცებამდე, მაგრამ ვერ გაგვიგია, რისთვის იქმნა უარყოფილი ბიბლიოთეკის შევსება ახალის მწერლების თხზულებათა შეძენით.

ზოგიერთი მუხლი ხარჯთ-აღრიცხვისა სასაცილოც-კი იყო, მაგალ. თხოულობდნენ, რომ გადაედოთ ფული ფული სამის კაცის დასაქირავებლად, რომელთაც უნდა დავალებოდათ წელისაყვან ონკანების დაკეტვა, როდესაც ვინმე წყალს წაიღებდა და ამნაირად მეტი წყალი არ დაღვრილიყო, თუ ვინიცობაა, რომელიმე წყლის წამღები ონკანს დაუკეტავს დასტოვებდა. თუ მაინც და მაინც ასე საჭიროა წყლის დაზოგვა, შეიძლება ისეთის ონკანის შემოღება, რომელიც თითონვე იხურება, თორემ ამ საქმისათვის ყარაულების მიჩენა სწორედ რომ საჭირო არ არის. საბჭომ უარ-ჰყო ეს ხარჯიც და დაადგინა, მაშინ დააყენოს ყარაულები ონკანებს, როდესაც დაზიანებულ იქმნება წყალზე გარდასახადი.

ამნაირს ხარჯებს ბევრს შეჰხვდებით ხარჯთ-აღრიცხვაში და, სამაგიეროდ, იმ საგნებზედ, რომელიც უმთავრესად საჭიროებაა, ისეთი ცოტა ფულია გადადებული, რომ სიაილადაც არა კმარა. მაგალითად, ქუჩების ცესაკეთებლად გადადებულია სულ ასი თუმანი. ვინც სოხუმის ქუჩებს იცნობს, ადვილად მიჰხვდება, რომ ასე ცოტა ფული ამ საქმეს ვერაფერს უშველის. ქუჩების დაგვასა და განწმენდაზე არაფერიც არ არის ნათქვამი. რაც შეეხება მორწყვას ქუჩებისას, ეს საქმე დაევალა ცეცხლის მქრობელ რაზმს, რომელიც გამის ბოჭკის, სამის ნასეგრად მკვდარის ცხენისა და ოთხის კაცისაგან შესდგება. აქ ქუჩების მორწყვა ის არის, რომ სადამოზე ოდნავ მოასხურებენ ხოლმე წყალს უმთავრეს ქუჩებს და მთელი ქალაქი მუდამ ატუტანებს მტვრის ბურუსშია გახვეული. წვიმებ და ქუჩებისა ან სულ არ იციან და ან, თუ მოაგონდათ ოდესმე, მხოლოდ იმით დაკმაყოფილდებიან, რომ აქა-იქ დააგროვებენ ტალახს და გადატანით-კი არსად გადააქვთ. ხშირად ყველობა ბნელს ღამეში კაცი ამ ტალახის გროვაში, სანამ ჯერ გამხმარი არ არის, და როდესაც გახმება, მერე პატარ-პატარა გორაკებად რჩება ქუჩებში და ფეხებს ამტვრევს ადამიანს სიარულის დროს.

შესაძლო იყო ქალაქს შემცირებოდა ხარჯი, რომელსაც ახლა ეწევა საქალაქო სასწავლებლის შესანახად. დღეს ქალაქი არამც თუ იხდის თავის ხარჯით მთელს სასწავლებლებს, სწავლის ფულსაც-კი არავის ახდევინებს ქალაქის მცხოვრებთაგანს და ამის გამო სასწავლებელს არ გააჩნია „სპეციალური სახსარი“, რომლითაც უნდა შეკეთდეს შენობა და ავეჯი. ამის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო დაედგინათ სწავლებისათვის გარდასახადი და ისეთები განთავისუფლებიანა მხოლოდ, რომელთაც სიღარიბის გამო შეძლება არა აქვთ ფული იხადონ, და მაშინ საბჭოში აღარ შემოვიდოდა განცხადებანი შენობისა და სასკოლო ავეჯის შეკეთებისა, როგორც ეხლაა. ზოგიერთი მოთხოვნილება საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორისა ხამეტახიც არის. მაგალ, უკანასკნელ კრებაზე თხოულობდა, რომ საკლასო ოთახებში უსათუოდ შედებილი იატაკები იყოს და საბჭომაც გარდასდო ამისათვის ფული, მაგრამ რა საჭიროა შედებილი იატაკი იქ, სადაც ყმაწვილები ყოველთვის გათხუპნულის ფეხებით დაიარებიან და შეუძლებელია სუფთად შენახვა იატაკისა!

კოლი

# რ უ ს ე თ ი

ქ. ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეუსრულდა 35 წელიწადი არსებობისა. პირველი მისი თავმჯდომარე იყო ადიუნკტი ხარკოვის უნივერსიტეტისა ბ-ნი ნ. ნ. ბეკეტოვი. საზოგადოებამ დიდი და ნაყოფიერი საქმე გააკეთა ამ 35 წლის განმავლობაში. დაჰმართა ხარკოვში სკოლები, რომლებშიაც ეხლა სწავლობს ათას ბავშვზედ მეტი. უფრო კიდევ მეტს აკეთებდა სკოლის გარეშე ერის განათლებისათვის წიგნების გამომცემლობითა და ბიბლიოთეკების დამართვით. 1894 წლამდე ორი ბიბლიოთეკა იყო მხოლოდ ხარკოვის გუბერნიაში. დღეს-კი, მისის წყალობით, 350 ბიბლიოთეკაა. შიგ არის 250 ათასი ტომი წიგნი, რომელთაც კითხულობენ ათი-ათასობით მკითხველნი. საზოგადოებამ დაჰბეჭდა ადვილად გასაგებ ენით ხალხის საკითხავად 87 სახელწოდების წიგნი. ეს წიგნები გავრცელდა მილიონ ეგზემპლიარზედ მეტი. საზოგადოებავე ჰმართავს კვირაობით ხალხისათვის წიგნების კითხვას, ხოლო შარშან ააგო სახალხო სახლი.

# დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აპრილი.

**პეტერბურგი**. მთავარი უფროსი შავის ზღვის ფლოტისა და ნავთ-სადგურთა ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი დანიშნულ იქმნა დიდ ოკეანეს ფლოტის უფროსად.

**პარიჟი**. (საკუთ. კორესპონდენტისგან). მონტებელო, როგორც მთლად მკვიდრნი საფრანგეთისა, გულით და სულით მომხრეა რუსეთისა. დარწმუნებული ვარ, რუსეთი ძლევას შეიმოსავს და ვგონებ, ომი ზამთრამდე გათავდებაო. იმედი მაქვს, არც გართულდება რითიმე; გაჭირვება თუ იქნება რამე, ისევ ზავის დადების დროს თუ იქნება. საფრანგეთის მომხრეობას რუსეთის მიმართ ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ რვა დღეში დაიყიდა 200,000 ბილეთი ალეგრისა, რომელიც მონტებელოს მეუღლემ გაჰმართა რუსეთის წითელ ჯვრის სასარგებლოდ.—მაკაროვის სიკვდილმა თითქმის არავითარი გავლენა არ იქონია ბირჟაზედ.—მინისტრმა რუვიემ მიიღო ღონისძიებანი, რომ საბირჟო ფონდებით არავინ გაჰბედოს

---

მეც ვიმედობ—მომავალში
დამიდგება გაზაფხული,
შევიმოსვი თეთრის კაბით,
გამრთელდება წყლული გული.

სიმონ ჯორბენაძე.

—

## ჩვენებური ამბები.

**ცხინვალი**. «ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა»-ო, ნათქვამია. მოდი და ჩვენც ასე მოვიქცეთ, ნუ დავკარგავთ და ნუ დავივიწყებთ ჩვენს ძველს მეგობარს ცხინვალსა. კარგა ხანია, ცხინვალი აღარ იღებს მონაწილეობას «შურდულში», რისგამოც ბ-ნი რედაქტორი ია ერაძე უსაყვედურებს ბ-ნ რებუსს, «რად დაგვივიწყე»-ო, ესე იგი რატომ არას გვაუწყებ ცხინვალის შესახებო. ჰო და რა! სწორედ მართალიც არის! რატომ აღარაფერსა სწერთ, ბ-ნო რებუსო, ცხინვალელებზე? შეიძლება გგონიათ, რომ რაც თქვენ სოფელში ბძანდებით, რაიმე კარგი ცვლილება მომხდარიყოს ცხინვალის ცხოვრებაში? არა! მერწმუნეთ, რომ არავითარი შესანიშნავი ცვლილება არ მომხდარა და იმედიც არ არის. მაშ ისევ სჯობს, ბ-ნო რებუსო, განაგრძოთ თქვენი მოღვაწეობა, «შურდულს» არ გამოულიოთ ცხინვალის ახალი ამბები. მაგრამ რა? რამდენიც გინდა ესროლოთ შურდულით ქვა და კლდე, მინც ვერ გაალვიძებთ აქაურებს; მე კი მხოლოდ შორიდგან ჩონგურს დავმღერ:

დაიძინე, მოისვენე,
შენ პაწაწინაო...
ყური არავის ათხოვო,
იავ ნანინაო...
სამკითხველო უვარგია....
ისევ ავარაო!
სულიკოსაც ნუ დაჰკარგავთ.
ჰო, ვართარირაო!..

ბაგრო.

—

**ჭიათურა**. შავი-ქვის მუშაობის შეჩერებამ დიდი «სკუჩნაობა» ჩამოაღგო ჭიათურაში; მაგრამ ჭიათურლებმა მალე გამოიგონეს „სკუჩნაობის“ მოსასპობი წამალი. ადგნენ და ნება-რთვის აუღებლად ჴორის გაზეთის გამოცემას მოჰკიდეს ხელი. გამოიცა სამი გაზეთი: «ნამცეცი»,—«სხივი» და «მათრახი». ამ გაზეთებს აზრად ჰქონიათ, ებრძოლნათ ჭიათურის ვოდკოგრადოვებთან, ვინო-გრადოვებთან, ბილიარდოვებთან და სხვ. მაგრამ რადგან დღეს ყველაფერს თავისი ფირმა აქვს და ყოველისფერმა წითელ მელნის «სუნი» უნდა იყნოსოს, ამიტომ აქაურმა ნებადაურთველმა გაზეთებმა სული მალე განუტევეს. ამიტომ კვლავ «სკუჩნაობა» გამეფდა.

ჭიათურის «სკუჩნაობას» უეჭველად გაჰფანტავდა ქუთაისიდან მოსული, ცნობილი მოჭიდავე (სიმაღლით მტკაველ-ნახევარია, სიფართით-კი არშინ-ნახევარი), ბ. კვანტალიანი, მაგრამ, საუბედუროდ, პოლიციამ ნება არ დართო, რაღაც გონიერის მოსაზრებით...

ქუთაისის საზოგადოების პატივის-ცემით, პატივცემული მოჭიდავე ეშხში მოსული... სულ ქუთაისი ახსოვს და იქაური ბანოვანნი... როგორც გავიგეთ, კვანტალიანს «ჭიდაობის» ხელოვნების მოყვარულთა დასი ჰყვებავს. თვითონ კვანტალიანი კი, თურმე, მუშაობას თაკილობს .. აი როგორს მუქთა-ხორებს ჰკვებავს ჩვენი საზოგადოება!...

უჩინ-მაჩინის ქუდი.

—

## ნარევ-ნაკვეს-ნასართოები

I.

ინტელეგენტს მეძახის
ყველა, დიდი, პატარა...
ამისთანა სახელი,
ვიცი, ჩემსთვის არ კმარა.
მინდა დიდი შევიქნე—
გენიოსს მეძახოდნენ;
ჩემს მოყვარეს მოვსწონდე,
მტერნი შიშით ფრთხებოდნენ.
ამ აზრებით გამსჭვალულს,
ველარ მომისვენია,
სხვა სახელი რომ არ მაქვს,
ჩემის თავის მრცხვენია.
კარგი არის სახელი,
კარგი არის დიდება!
ამ ორ საგანს ამ ქვეყნად
ვერა-რა შეედრება.

II.

ამ პაწია მწერალმა
თვისი ნიჭი გაჰბერა;
ნაწერები წაუხდა,
ხალხი გადაიმტერა.
გენიოსებს ვერ მისწვდა,
სულ წაუხდა სახელი;
ყველა იმას ჰკიცხავდა,
ყველა იყო მძრახველი.
დიდ სახელს ვერ მოესწრო,
პატარაც კი დაჰკარგა,
უსახელო, წამხდარი,
ადგა, გადაიკარგა.

ვანო კესარიაშვილი.

—

## შარადა

პირველი ასო რომ ითქმის
იგი უ—ს შემდეგ სწერია,
მის მერე ერთი სიტყვაა,
ასოთი ექვსი ღერია,
კლიტე ბოქლომის ადგილი
უწინ ამ სიტყვას სწერია,
დღესაც ამ საქმეს ასრულებს,
საცაა გლეხის კერია.
სულ ყველა ერთად ნივთია,
თან ატარებდა დავითი,—
სტყორცნა გოლიათს და მოჰკლა,
წამს გაიმარჯვა ამითი.
ეხლაც მივმართავთ ხანდახან,
როცა რომ მტერი გვამწარებს,
იმისი მწარე ყუმბარა
მტერს ყირამალი ატარებს;

ვანო კესარიაშვილი.

—

მეგრელი და ჴინკა დამეგობრდნენ, თითქმის დაძმობილდნენ. სანამ ყანა სათოხარი ჰქონდათ, მეგრელი ავადმყოფობას იგონებდა და ამ რიგად მთელის წლის შემოსავალი ავსულს მოაყვანია. ჴინკამ პირნახული დაალაგა თუ არა, მეგრელი ადგა, მორჩა და ჴინკას ნაშრომი თვალში იფუქსავატა. ერთხელ, როდესაც ჴინკას ეძინა, მეგრელმა უდროვა, შამფური ნაკვერცხალივით გაჰხადა და მძინარე ჴინკას ზედ ზურგზე უშველებელი ჯვარი გადუსახა. ჴინკა ავარდა, დავარდა... შეეხვეწა მეგრელს: „მიშველე, ბელზებელს ვფიცავ, რაფერს არა გთხოვ, ოღონდ ამ ჯვარისაგან დამიხსენიო!“

როგორც იქნა, ჴინკამ მეგრელი დაარწმუნა. მეგრელმა მოუსვა დანა და ერთის მაგიერ ორი საქალამნე ტყავი ააცალა, თან ჯვარიც გაიყოლია, დაჭრილზე მარილი მოაყარა. იცოცხლეთ, უდიერის „აპერაციის“ დროს ჴინკამ ბევრი იჭყავლა, მეგრელი კი კმაყოფილად იცინოდა. ჴინკამ თავისებურად ჩაიცინა და სთქვა: „არა, დახე, რას შევესწარი, ჴინკაც მომატყუა... სჯობს გავეცალოთ, და ისარივით გაქანდა ჯოჯოხეთისკენ.

ჯაჯუ ჯორჯიკია.

*
* *

თავმომწონედ დასეირნობს
ერთი ვინმე ღორმუცელა,
სულ საჭმელს სჭამს და ვერ ძღება,
იბერება ნელა-ნელა.
თავის ჭკუის გაძღომისთვის
ძმაი დაჰკლა მრავალხელა,
და თვითონ კი გაიცინა,
ჩაიარა ნელა-ნელა.
ამნაირად, ღორმუცელამ
შეაშინა გზაზე ყველა
და თითონ კი უშიშრად
გაიარა ნელა-ნელა...
თავმომწონედ დასეირნობს
ერთი ვინმე ღორმუცელა,
სულ საჭმელს სჭამს და ვერ ძღება,
იბერება ნელა-ნელა.

სიმონ ჯორბენაძე.

## დ ე პ ე შ ა.

(„შურდულის“ დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 აპრილი.

**ქუთაისი**. ვინაიდგან ვერ მოვასწარით სამყოფ თანხის მოგროვება პირველის სამახსოვროდ ძეგლის დასადგმელად, ამიტომ «ქუთაისი» თხოულობს, გვასეხეთ შოთა რუსთაველის ძეგლისთვის მოგროვილი ფარაო; აგერ მერვე საუკუნეა, უცხოვრია უძეგლოდ, ცოტა კიდევ დაგვაცადოს შოთამო, მით უმეტეს, რომ ამისთანა დიდებულ საქმისათვის, როგორიცაა ზერვილის ცირკი, გვეჭირვება ფარაო. თავდებად მიიღეთ პატიოსანი სიტყვა და უღვაშის დერი იმ „ტარიელ-მკლავაძეებისა“ და „ლხინიკო-უქმაძეებისა“, რომელთაც „სიცოცხლის წყაროში“ 23 თებერვალს სადილი სჭამეს ლ...... გაიპარნენ...

**ცხინვალი**. გუშინ მიიღეს ცხინვალელებმა ჯოჯოხეთის უფროს ტარტაროზისაგან დეპეშა: რადგანაც ჯოჯოხეთი სულ გაივსო ცხინვალელებითა და თავისუფალი ადგილი აღარ არის, პატარა ხანს მოიცადონ, იალბუზზე ვმართავ განყოფილებას და დანარჩენებს იქ დავბინავებო; ცხინვალს ხელიდგან ვერ გავუშვებთ, რადგანაც იგი დამტკიცდა ამ თვის პირველიდგან ჯოჯოხეთის უპირველეს პროვინციადაო.

**ცხინვალი**. როგორც წარსულის თვის «შურდულში» იყო აღნიშნული, ცხინვალის ქუჩებზედ რაც რამე მოიპოვებოდა. ტალახი, დამპალი ვირთაგვები და სხვა იმგვარები, იჯარით უნდა გაცემულიყო; კრებაც დააპირეს ურიათ უბანში, მაგრამ ურიებმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს და მტკიცედ იცავენ უწმინდურებას. ქრისტიანებმაც სთქვეს: ჩვენც ეგ გვინდაო. იქნება ტფილისში მაინც გამოჩნდეს მოიჯარადრე.

—

## «შურდულის» ფოსტა.

**ქუთაისი**. მ. ა—ს. დაიბეჭდება.

**თელავი**. ნ. მ—ს. „წვეროსა-ნი“ ერიც არის, ბერიც, მღვდელიც, არტისტიც, ურიაც თათარიც და სხვანი, და სხვანი, და სხვანი. ვისაც როგორ ნებავს, ისე გაიგოს. ვისაც გულში ლახვრად დაესოს, დაე დაესოს. თქვენ რას დასდევთ?..

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

ფასიან ქაღალდების განგებ დაცემის გამოწვევა.

**პარიჟი**. 1 აპრილს სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართა დიდის მთავრინას მარიამ პავლეს ასულის საქსენონო მატარებლის სასარგებლოდ. საღამო გამართულ იქმნა სარა ბერნარისა და რაულ ჰინცბურგის მიერ სამუსიკო საზოგადოების მფარველობით. ამ საზოგადოებას თავსმჯდომარეობს გრაფინია გრეფიული.

**პარიჟი**. აქაურ რუსთა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ადმირალ მაკაროვის სულის მოსახსენებლად.

**ვარშავა**. დღეს საკათედრო ტაძარში, რომელიც სავსე იყო ხალხით, გენერალ-გუბერნატორის ჩერტკოვის თანადასწრებით, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი მაკაროვისა და მის თანამოღვაწეთა სულის მოსახსენებლად.

**შალონი სონაზედ**. რესპუბლიკელთა კრებამ გადასწყვიტა, გამოეცხადოს სამძიმარი რუსეთის ერს, „პეტროპავლოვსკის» დაღუპვის გამო.

**პარიჟი**. ადმირალ მაკაროვისა და „პეტროპავლოვსკის“ გმირ მეზღვაურთა დაღუპვის ამბებმა გამოიწვია მთელს საფრანგეთში ნამდვილი საერო მგლოვიარება. საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა, მიმართულების განურჩევლად, უძღვნის რუსეთს თანაგრძნობის ვრცელს წერილებს და უთვლის გულითადს სამძიმარს. რათა დაუმოწმონ ელჩს ნელიდოვს გრძნობანი მოწიწებით სავსე თანაგრძნობისა, ჩაეწერნენ საელჩოში მინისტრები და პარიჟის საზოგადოების ყველა წოდების წარმომადგენელნი. დღეს, ელჩის ნელიდოვის თაოსნობით, საელჩო ეკლესიაში სამგლოვიარო მღვდელ-მსახურება იყო დიდებულ მაკაროვისა და „პეტრეპავლოვსკის“ გმირ მეზღვაურთა სულის მოსახსენებლად. გარდახდილ იქმნა აგრეთვე სამადლობელი პარაკლისი დიდის მთავრის კირილე ვლადიმერის ძის სასწაულებრივ გადარჩენისათვის და აგრეთვე დანარჩენ გადარჩენილ მეზღვაურთათვის. ელჩისა და მის მეუღლის გარდა, დაესწრნენ წარმომადგენელი რესპუბლიკისა გენერალი პენდეზეკი, საზოგადოსი და გარეშე საქმეთა მინისტრები და მრავალნი აქაურნი რუსნი.

**პეტერბურგი**. ლიაოიანიდან 2 აპრილს გაგმოზავნილ დეპეშის პირი მისის უმაღლესობის დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სახელზე: ეს არის წარვუდეგ და დიდხანს ვებაასე დიდს მთავარს კირილე ვლადიმერის ძეს. გადარჩენილი განგებითა ღვთისათა, ძე თქვენი ჩქარა მორჩება. რამდენიმე დამწვარი ადგილი ერთს კვირაში მოურჩებ.. მხნედ არის. ფეხები დაშავებული ჰქონდა, მაგრამ მე ფეხზე დამხვდა და უმწეოდ შეუძლიან გავლა. რამდენსამე დღის შემდეგ ფეხებიც მოურჩება. კუროპატკინი».

**სტამბოლი**. გენერალი ჯიორჯოსი ხვალ სალონიკს მოდის. სულთანმა სანახავად არ მიიღო, მაგრამ შეუთვალა, წარმატება და მშვიდობის გზას გისურვებო.

**პეტერბურგი**. სია ბ-ნთ ოფიცერთა, რომელნიც ჯავშნიან გემ «პეტროპავლოვსკზე» იმყოფებოდნენ და დაიღუპნენ: წყნარ ოკეანეს ფლოტის უფროსი, ვიცე-ადმირალი სტეფანე ოსიპის ძე მაკაროვი, შტაბის უფროსი მიხეილ პავლეს ძე მოლასი, სამხედრო ნაწილის უფროსი, საგენერალო შტაბის პოლკოვნიკი ალაპიევი, კაპიტანი მეორე რანგისა მიხეილ ვასილის ძე მეორე(?) ფლიგელ-ოფიცერი ლეიტენანტი ნიკოლოზ ფონ-კუბე, ფლოტის ოფიცერი მიჩმანი პავლე ბურაჩეკი, ფლოტის ნალმის ოფიცერი მეორე რანგისა კონსტანტინე ფონ-შულტი, ფლოტის არტილერიის კაპიტანი მეორე რანგისა ანდრია მიაკიშევი, ფლოტის შტურმანი პოდპოლკოვნიკი ალექსანდე კოროზიცინი, საქმის მწარმოებელი ტიტულიარნი სოვეტნიკი კონსტანტინე ლადანოვი, უფროსი ოფიცერი ლეიტენანტი ალექსანდრე ლადიგინი, მოდარაჯე უფროსი მიჩმანი ბარონ ნიკოლოზ ფონ-კლებეკი, მოდარაჯე უფროსი მიჩმანი ალექსი რკუნევი. გადარჩნენ: სამხედრო-საზღვაო ნაწილის უმფროსი ფლიგელ-ადიუტანტი, კაპიტანი მეორე რანგისა, მათი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი კირილე ვლადიმერის ძე, ფლოტის ოფიცერი მიჩმანი ვლადიმერ შმიდტი და გემის უფროსი, კაპიტანი პირველის რანგისა იაკოვლევი. რევიზორი, მიჩმანი პეტრე აკიმოვი დაიღუპა, ნალმის უფროსი ლეიტენანტი კონსტანტინე უნკოვსკი გადარჩა, ნალმის უმცროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ იენიში მეორე გადარჩა, უფროსი არტილერიის ლეიტენანტი ლიუბიში კნორინგი პირველი დაიღუპა, უმცროსი შტურმანი ვლადიმერფულფი დაიღუპა, მოდარაჯე აფიცერი, მიჩმანი ნიკოლოზ შლიპე გადარჩა, მოდარაჯე აფიცერი მიჩმანი პეტრე ლეპეშკინი დაიღუპა, გემის უფროს მეხანიკის მოადგილე ინჟენერი-მეხანიკი ანტონ პერკოვსკი მეორე დაიღუპა, თანაშემწე გემის მეხანიკისა ინჟენერ მეხანიკი ჰენრიხ სეიპელი დაიღუპა, გემის უმცროსი მეხანიკი ინჟ.-მეხანიკი დიმიტრი საბირნოვი დაიღუპა, კომისარი ტიტ. სოვ. ალექსანდრე შმიდტი დაიღუპა, უფროსი ექიმი ნადვ. სოვ. ანდრია კოლკოვიჩი დაიღუპა, მღვდელ-მონაზონი მამა ალექსი დაიღუპა, მეორე ხარისხის კაპიტანი კრუნი დაიღუპა, მხატვარი ვერეშჩაგინი დაიღუპა, მიჩმანი შიმკო დაიღუპა, მიჩმანი ბადისკო დიაღუპა.

დეპეშა ხელმწიფის მოადგილესი, გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა მის უდიდებულესობასთან ორს აპრილს: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ 2-ს აპრილს, 9 საათსა 15 წ. დილისა, შუადღემდის იაპონიის ფლოტმა, 14 საომარის გემით, გაყოფილმა ორს ნაწილად, ჯერჯერობით დაუშინა ლიაოტეშანიდგან ყუმბარები ციხესა და ქალაქ პორტ-არტურს. მტერმა გამოისროლა 185 ყუმბარა. ჩვენმა ესკადრამაც უპასუხა იმ ადგილებიდან, საცა გემები ღუზაზე იდგნენ, მათ შორის ნალმიან გემმა «პობედამ» და აგრეთვე ციხის ბატარეამაც ზღვის ნაპირას დაიჭრა ხუთი მეციხოვნეთა მდაბიო ჯარის კაცი; გემებზე არავითარი ზარალი არ მომხდარა. ზღვის ნაპირას მოჰკლეს 7 და დასჭრეს 3 ჩინელი, ოფიციალურის წყაროებით იუწყებიან, ვითომ დაიღუპა ნალმიანი გემი «სტრაშნი» და არა «ბეზსტრაშნი», როგორც წინად დეპეშა გვაცნობებდა. ამ გემზე დაიღუპნენ: მეორე ხარისხის კაპიტანი იურასოვი, სადარაჯოს უფროსი ლეიტენანტი მალეევი, მიჩმანი აკინფიევი და უმცროსი ინჟ.-მეხანიკი პავლე დიმიტრიევი.—2-ს აპრილს საზამთრო სასახლის საკონცერტო დარბაზში ტარზე გამართეს ბაირაღი, რომელიც მისმა უდიდებულესობამ გვარდიის სათადარიგო ცხენოსან პოლკს უბოძა.

**მუკდენი**. იტყობინებიან, რომ 1 აპრილს, შუადღისას, ხელმწიფის მოადგილე, გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი, მუკდენიდგან პორტ-არტურს გაემგზავრაო.

**პეტერბურგი**. «მორნინგ-პოსტში» მოთავსებული დეპეშა ვაშინგტონიდგან იმის შესახებ, რომ ვითომ შეერთებულმა შტატებმა და ინგლისის მთავრობამ ქაღალდი გაუგზავნა რუსეთის მთავრობას,—მართალია თუ არა, რომ დასავლეთ-რუსეთში მოელიან არეულობას ურიების წინააღმდეგო, სრულიად უსაფუძვლოა და სიცრუე არის.

**პარიჟი**. ლუბემ, შეიტყო-რა «პეტროპავლოვსკის» დაღუპვის ამბავი, დეპეშით განუცხადა ხელმწიფე იმპერატორს გრძნობანი დიდის მწუხარებისა, რომელსაც ჰგრძნობს საფრანგეთი იმ დიდის დანაკლისის გამო, რომელიც რუსეთის ეროვნებას და მისს ფლოტსა ჰხვდა წილად. თავისის მხრით, დელკასემაც სამძიმარი გამოუცხადა ელჩ ნელიდოვს.

**ჩიფუ**. «დეილი ექსპრესსი» იუწყება, რომ ტოგო თავისის ფლოტით უკან დაბრუნდა ხელ ახლად შესაიარაღებლადაო. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ იაპონიის ესკადრაც დაზიანებულაო.

**სეული**. («ჰავასის სააგენტო»). იმპერატორის სასახლეში ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ გაძლიერებას ხელი შეუშალეს დაგადაარჩინეს უფრო ძვირფასი ნივთები.

**ჩიფუ**. («რეიტერის სააგენტო»). გენერალი მა, რომელიც ჩინეთის საკრესერო ესკადრის უფროსია, იტყობინება, რომ აპრილის 1-ს მთელი დღე სროლა იყო პორტ-არტურთანაო.

**ტიანძინი**. («რეიტერის სააგენტო»). აქ მიღებულ ცნობათა თანხმად, კორეაში გადასხმულ იაპონიის ჯარში ერთგვარი ავადმყოფობა გაჩენილა; ეს სენი ძლიერ წააგავს «ბერი-ბერის» ავადმყოფობას, რომელიც ძილსა ჰგვრის კაცსა, ფეხებს უდუნებს და სუნთქვას უძნელებს.

**ცეტინიე**. ჩერნოგორიის მემკვიდრე პრინცმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა სამძიმარი გამოუცხადეს რუსეთის დიპლომატიურს წარმომადგენელს ადმირალ მაკაროვისა და ჯავშნიან გემის «პეტროპავლოვსკის» დაღუპვის გამო.

**ბელგრადი**. რუსეთის იმპერატორმა 5,000 მანეთი შესწირა მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ვრანიის მცხოვრებთ.

**სტამბოლი**. უცხოელ ასისტენტებს დიდის ამბით მიეგებნენ სალონიკში. მათმა მოსვლამ ძლიერ გაახარა მცხოვრებნი და იმედი აქვთ, რომ ამის შემდეგ განაგრძობენ მშვიდად ცხოვრებას, რადგანაც ჟანდარმერიის მოწყობა უკვე დაწყებულ იქმნა.

**კურსკი**. დიდმა ვთავარმა სერგეი მიხეილის ძემ გზად გამოიარა ბელგოროდში.

**მოსკოვი**. გრაფმა გუდოვიჩმა სათავად-აზნაურო სასანიტარო რაზმის მოსაწყობად შესწირა 45,000 მან.

3 აპრილი.

**პეტერბურგი**. ომიანობის გამო ნაკლებად-ღა თხოულობენ სარგებლიან და კერძოდ საიპოტეკო (საადგილ მამულო ბანკების) ქაღალდებს. შედეგად ამას ის მოჰყვა, რომ იკლო ამ ქაღალდების ფასმა და დაეცა მათი კურსი. ეს გარემოება შესამჩნევს დაბრკოლებას ჰბადავს სათავად-აზნაურო და საგლეხ-კაცო ბანკებისათვის მათვის გირავნობის ფურცლების განაღდების დროს. კურსის დაცემის გამო ამ განაღდების დროს ბევრს დაჰკარგავენ ფურცლების პატრონები, რაიცა ცუდად იმოქმედებს ზემოხსენებულ დაწესებულებათა საფინანსო მდგომარეობაზედ. რაკი ამ ჟამად ბუნებრივი საჭიროება მოითხოვს სახელმწიფო კრედიტის ძალღონე მიიქცეს უმთავრესად ომიანობით გამოწვეულ ზოგად-სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ამიტომ მისმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება და მიანდო ფინანსთა კომიტეტს წარუდგინოს უმაღლეს კეთილ-განზჭობად მოსაზრებანი ორივე ხსენებულ ბანკის მოქმედების დროებით შესამცირებლად. ეს მოსაზრებანი უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა 26 მარტს.

**სეული**. («ვოლფის სააგენტო») სასახლე სულ გადაიწვა. ყოველივე ლარი და განძი დაიღუპა. როგორც ეტყობა, ცეცხლი გაჩნდა ღუმელთა მეტის-მეტის გახურებით. იმპერატორმა თავი შეაფარა ქვითკირის სახლში, რომელიც სასახლის მახლობლად არის აგებული.

**ვაშინგტონი**. რუსეთის ელჩმა გამოუცხადა რუზველტს მწუხარება რუსეთის მთავრობისა იმ უბედურ შემთხვევის გამო, რომელიც მოჰხდა სამხედრო გემ «მისურზე». თავის მხრივ პრეზიდენტმა სამძიმარი უთხრა იმ დანაკარგის გამო, რომელიც რუსეთს ეწვია მით, რომ დაჰკარგა ადმირალი მაკაროვი და ჯავშნიანი გემი «პეტროპავლოვსკი».

**ტოკიო**. («რეიტერის სააგენტო»). ინგლისის სამხედრო აგენტების პატივსაცემლად გამართულ ბანკეტზედ გრაფმა ოკუმამ სიტყვა წარმოსთქვა, შეაქო სიმამაცე და ხელოვნება ადმირალ მაკაროვისა და მწუხარებით აღნიშნა იმისთანა კაცის უდროო სიკვდილი.

**პორტ-არტური**, ორ აპრილს. (საკუთარის კორესპონდენტისაგან). დღეს, დილის 8 საათზედ, ზღვაზედ გამოჩნდა მტრის დიდი ესკადრა, რომელიც ისევ მალე მიიმალა; 10 საათზედ ხელ ახლა გამოჩნდნენ იაპონიის გემები და გაიყვნენ ორ რაზმად; ერთი რაზმი გაჩერდა ლიოტეშანთან და დაუწყო სროლა ნაპირებსა და ვეფხის ნახევარკუნძულს. ხოლო მეორე რაზმი გაჩერდა რეიდის პირდაპირ, ესროდა ოქროს მთასა და სხვა ბატარეებს. სროლა ხანგამოშვებითი იყო. ერთმა ყუმბარამ დააზიანა იაპონელთა კრეისერი. სხვა ცნობებით იუწყებიან, რომ ორი გემია იაპონელთა დაზიანებულიო. ქალაქსა და სიმაგრეებს არავითარი ზიანი არ მოსვლია. მოკლულია რამდენიმე ჩინელი, დაიჭრა სამი ჩინელი და ორი რუსი. დაინგრა ერთი ჩინური სახლი.

**ვლადივოსტოკი**. სასანიტარო საგნების გამო საკომენდანტო გამგეობაში თათბირი იყო. გადასწყვიტეს სასტიკი საშუალებანი იხმარონ ქალაქის სისაღის შეხახებ, გაასუფთაონ ქუჩები, ეზოები და დაანგრიონ თვითნებობით აშენებული ფარდულები. გენერალ ლინევიჩს აპრილის დამდეგს მოელიან.

**ბერლინი**. «დაილ მაილის» ხარბინელი წარმომადგენელი დეპეშით იუწყება, რომ ყოველ დღე შვიდი მატარებელი მოდის და ოთხი ათასი ჯარის კაცი მოჰყავსო. რკინის გზის ლიანდაგის დაგების საქმე ლიაოიანიდგან იალუსაკენ კარგად მიდის, იმედი აქვთ, რომ გზა რამდენისამე კვირის განმავლობაში მზად იქნებაო.

**ტოკიო**. ნამდვილის წყაროებიდგან იუწყებიან, რუსის ჯარი მანჯურიაში 200 ათას კაცამდეაო. უმთავრესი ძალა შეჭუჩებულია ლიაოიანთან, ჩრდილოეთ ნაპირას მხოლოდ 10 ათასი კაციაო.

**ვაშინგტონი**. («რეიტერის სააგენტო»). რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა, ჯაშუშად ჩასთვლის თვითოეულს გაზეთის კორესპოდენტს, რომელიც-კი უმავთულო ტელეგრაფით ისარგებლებს ამბების გადასაცემადაო.

**პეტერბურგი**, გენერალ-ლეიტენანტი გრაფი სტენბოკი გრენადერის კორპუსის უფროსად დაინიშნა. ხელმწიფე იმპერატორმა, თანხმად მინისტრთა კომიტეტის დებულებისა, 18 მარტს უმაღლესად ბრძანა, 1 აპრილიდან 1904 წლისა მომოემატოს სასარგებლოდ რუსეთის წითელის ჯვრის საზოგადოებათა აწ არსებულს გარდასახადს რკინის გზებზედ მოსიარულეთათვის 5-დან 10 კაპეიკამდე ომის გათავებამდე, შემდეგ-კი ისევ 5 კ. გადახდეთ პასაჟირებსაო.

**სოფია**. (საოპოზიციო ცნობებით). ჯიორჯისი სალონიკს მიდის, იმისი თანაშემწენი და უცხოელი აფიცრები სალონიკს მივიდნენ და ხალხმა თანაგრძნობით მიიღო. იმათი მუნდირები და ქუდები ყველას ყურადღებას იპყრობს. ბევრი პოლიტიკური დამნაშავენი გაანთავისუფლეს. რუსეთისა და ავსტრიის საელჩოები იმის ზრუნვაში არიან, რომ უცხოელ აფიცრებს ჯამაგირები მისცენ. ბოლგარიის მწერლობა, ოფიციალურიც-კი, ერთხმად აღიარებს, რომ ოსმალეთ-ბოლგარიის ხელშეკრულობით ცოტა რამ გაკეთდაო. საოპოზიციო გაზეთები ჰკიცხავენ მთავრობას იმის გამო, რომ კომისიებს მიანდო სხვა-და-სხვა დადგენილებათა განხორციელება.

### პეტერბურგის ბირჟა

2 აპრილი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | 45,97 1/2 |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | 37,42 1/2 |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,75 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . | 37,70 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . . | 93 წვრ. |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . | — |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. | |
| მამულო ბანკისა . . . . . | 91 1/2 მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 377 ნის. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 304 წვრ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 272 1/4 წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4 1/2% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . . | 88 3/4 ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . | — |

დროებითი რედაქტორი **ბრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურ ას
**სამკურნალოში**,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებისენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!
**ჰიგიენური**
ბორნო-ტიმოლის საპონი
პროვიზორის
**გ. ფ. იურგენსის.**
აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.
ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.
**ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. 1/2 ნაჭერი 30 კაპ.
ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.
უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან,
**მოსკოვში**. (24—14)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»
**გულივერის მოგზაურობა**
სვიფტისა, მრავალის სურათით. 16 გვ. ფასი 30 კაპ.

# ჩ ა ი
## ამხანაგობა ჩაის ვაჭრობისა
## ვ. ვისოცკი და კო
მ ო ს კ ო ვ ს.
ტფილისის განყოფილება
მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის ქარხნის მომწოდებ...

Торговый знакъ утвержденъ Правительствомъ.
ВиКо

მირის თანხა **6.000.000** მ ა ნ ე თ ი.
წლიური აღებ-მიცემობა **25.000.000** მანეთზედ მეტი.

ჩაის მაღალის თვისების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.
ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, საცა იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.
**ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ-გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.**
ჩვენის ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვთხოვთ ბ-ნთ მყიდველთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—**ხომალდია**,—მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ **ჩაი ვისოცკისა ხომალდით.**

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.
**განყოფილებანი:**
ოდესას, ვარშავას, როსტოვს-დონ., პეტერბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სამარყანდში. აგრეთვე ნიჟეგოროდის და ირბიტის ბაზრობაზე.
ადრესი ამხანაგობის მოსკოვს და განყოფილებათათვის: „Товарищество чайной торговли В. Высоцкий и К-о“.
დეპეშებისათვის: „Корабликъ“.
ჩაი ვაჭრობას



Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи.